

საქართველო გმობს რუსეთის მიერ მის საქმეებში ჩარევას; მოითხოვს პირდაპირ დიალოგს; მიესალმება საერთაშორისო საზოგადოების როლის გაფართოებას

ამავდროულად თბილისი ცდილობს სოხუმელ სეპარატისტებთან დიალოგის განახლებას, მას შემდეგ რაც მათ უარი განაცხადეს გერმანიის სამშვიდობო გეგმაზე; ესტონეთი მოუწოდებს ევროკავშირს კონფლიქტის ზონებში სამშვიდობოების განთავსებისკენ, ხოლო აშშ მეტ საერთაშორისო დამკვირვებლებს მოითხოვს

საქართველოს მთავრობამ სცადა განემუხტა დაძაბულობა სამხრეთ ოსეთის რეგიონში და განეხილა სამშვიდობო ძალისხმევა შაბათ-კვირის შეტაკებების შემდეგ, რომელსაც 6 მემბოხე სეპარატისტი შეეწირა და კიდევ სულ მცირე 13 დააზარალა. თბილისმა სეპარატისტებს პირდაპირ დიალოგისკენ მოუწოდა, ხოლო რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა საერთაშორისო საზოგადოებას კონფლიქტის შემდგომი მილიტარიზაციის პრევენციის თხოვნით მიმართა.

უთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდერ სტუმმა დაგმო ძალადობა, ხოლო ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმას პაეტმა ევროკავშირის მშვიდობისმყოფელთა რეგიონში გაგზავნის წინადადება წამოჭრა. "ამ რეგიონში მშვიდობის დაცვა შესაბამისი ამოცანა იქნება ევროკავშირისთვის", განაცხადა პაეტმა. "მხარეები, რომლებიც პირდაპირ არ არიან დაკავშირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების კონფლიქტებთან, უნდა ჩაერთონ მშვიდობის დაცვის მისიაში". რუსეთი, რომელიც ორივე კონფლიქტის მხარედ იქცა, ამჟამად აკონტროლებს მშვიდობისმყოფელთა ძალებს ორივე ქართულ რეგიონში.

ამასობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა შემფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ უკანასკნელი შეტაკება თავსდება რუსეთის მიერ წარმოებული პროვოკაციის სქემაში. მარტიდან მოყოლებული, მოსკოვმა მკვეთრად გაამწვავა ვითარება აფხაზეთის რეგიონში და ამით გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოების დიპლომატიის ინტენსიფიცირება. ივლისში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი სამშვიდობო წინადადებები, რომლის ელემენტები საქართველოს მთავრობამ მოიწონა, მაგრამ მოსკოვმა და სოხუმელმა სეპარატისტებმა უარყვეს.

"შეუძლებელია დამთხვევა იყოს, რომ ძალადობამ ცხინვალის რეგიონში იფეთქა ზუსტად მაშინ, როდესაც სამშვიდობო პროცესის განახლების პროგრესი თვალსაჩინო გახდა", განაცხადა ტყეშელაშვილმა. "რუსეთი ამ კონფლიქტებს ხედავს როგორც საქართველოზე კონტროლის დამყარებისა და ნატოში გაწევრიანების ხელის შეშლის ბერკეტს - მას არ სურს კონფლიქტების მოგვარება". ტყეშელაშვილმა დასძინა, რომ იმისთვის რომ არ დაუშვას საერთაშორისო საზოგადოების ჩარევა, რუსეთი ან ამ ქართული რეგიონების ანექსიას მოახდენს, ან დაუსრულებლად განაგრძობს მათ დესტაბილიზაციას.

სეპარატისტთა ლიდერები ქალაქებზე დარტყმით იმუქრებიან

უკანასკნელი შეტაკება ცხინვალის რეგიონში მას შემდეგ დაიწყო, რაც სეპარატისტებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქართულ პოსტებსა და ახლომდებარე სოფლებს გაუხსნეს ცეცხლი ავტომატური იარაღებიდან და ყუმბარმტყორცნიებიდან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 4 აგვისტოს გამოაქვეყნა ივლისის დასაწყისიდან დღემდე სეპარატისტების მიერ განხორციელებული ძალადობრივი აქტების ნუსხა.

ამ ინციდენტებს შორის იყო 3 ივლისის განხორციელებული დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის ლიკვიდაციის მცდელობა. სანაკოევი, სეპარატისტთა ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი,

კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ცენტრალურ ფიგურად იქცა. იგი გამოეყო სეპარატისტებს საქართველოსთან მშვიდობიანი რეინტეგრაციის მხარდასაჭერად და 2006 წლის ნოემბერში ხმათა 80%-ით გაიმარჯვა ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი რეგიონის ტერიტორიებზე ჩატარებულ არჩევნებში.

4 აგვისტოს სანაკოვემა საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა სამხრეთ ოსეთის რეგიონში მათი მონიტორინგის მასშტაბის გაზრდისკენ.

”მეამბოხე სეპარატისტები რუსეთის მხარდაჭერით ქმნიან რეგიონში ძალადობის შემდგომი გაგრძელების პირობებს”, განაცხადა სანაკოვემა. ”ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკური და სოციალური პირობების მკვეთრ გაუარესებას, რითიც მომავალს ართმევენ ეთნიკურად ოს მოსახლეობას, ისევე როგორც ამ რეგიონში მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს”.

სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ საპასუხოდ განაცხადა, რომ მისი ბანდშენაერთები იერიშს ქალებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებზე მიიტანენ. ”ჩვენ ვიტოვებთ საქართველოს ქალაქებზე თავდასხმის უფლებას და ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მივწვდეთ მათ,” განაცხადა მან.

კოკოითის ეს მუქარა ექსლავით გაიმეორა ერთ-ერთმა რუსმა გენერალმა, რომელმაც დაადასტურა, რომ ”რუსი მედესანტები მზად არიან შევიდნენ სამხრეთ ოსეთის რეგიონში რუსი მშვიდობისყოფილების დასახმარებლად, თუ ამას მოითხოვს არსებული სიტუაცია.” ეს ნაბიჯი იქნებოდა სამშვიდობო შეთანხმებებისა და საერთაშორისო ნორმების პირდაპირი დარღვევა. 4 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო რუსი გენერლის ეს განცხადება და მას ”აგრესიის მუქარა” უწოდა.

ეუთო ამჟამად ატარებს სამხრეთ ოსეთის რეგიონის მონიტორინგს, მაგრამ ამას აკეთებს არარეგულარულად და შეზღუდული შესაძლებლობებით. 9 ივლისს რუსეთის ოთხმა სამხედრო განმადგურებელმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე - ისინი 40 წუთის განმავლობაში ცხინვალის თავზე ფრენდნენ.

4 აგვისტოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაგმო ძალადობის უკანასკნელი ფაქტი და საერთაშორისო საზოგადოებას მეტი ყურადღებისკენ მოუწოდეს.

”ეს ინციდენტები ხაზს უსვამს სამხრეთ ოსეთის რეგიონში ეუთო-ს დამკვირვებლების რაოდენობის დაუყოვნებლივი გაზრდის აუცილებლობას”, განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გონსალო გალეგოსმა. მისი თქმით, აშშ მხარს უჭერს როკის გვირაბის ერთობლივ ქართულ-რუსულ მონიტორინგს, რომელიც წარმოადგენს რეგიონში არსებული შეიარაღებული დაჯგუფებების არაკანონიერი იარაღით მომარაგების მთავარ არხს.

თბილისი გამოდის მორიგი სამშვიდობო მოწოდებით ორივე რეგიონთან მიმართებაში

გასული შაბათ-კვირის დაპირისპირების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გააკეთა ახალი მოწოდება მშვიდობისკენ როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე აფხაზეთის რეგიონებისთვის.

”ჩვენ გვჭირდება პირდაპირი დიალოგი სეპარატისტებთან ესკალაციის დასასრულებლად”, განაცხადა რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა. შარშან საქართველოს მთავრობა გამოვიდა ამჟამად უკვე არარსებული შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატიდან, რომელმაც ათწლეულის განმავლობაში ვერანაირ პროგრესს ვერ მიაღწია.

საქართველოს წინადადებით საუბარი უნდა გაგრძელდეს ან პირდაპირ სეპარატისტთა ლიდერებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის, ან ახალი ”2+2+2” ფორმატით, რომელშიც წარმოდგენილები იქნებიან სეპარატისტები და დროებითი ადმინისტრაცია, თბილისსა და მოსკოვთან ერთად; ხოლო ევროკავშირი და ეუთო საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენენ.

პარალელურად, საქართველოს მთავრობა ცდილობს არც აფხაზეთის რეგიონში დააგდოს კონფლიქტის მოგვარების ტემპი, მას შემდეგ რაც სეპარატისტმა ლიდერებმა უარი განაცხადეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო გეგმაზე.

გასულ თვეში სამშვიდობო ინიციატივის წარსადგენად აფხაზეთის რეგიონში ჩავიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი. ამ გეგმის შემდგომი განხილვა უნდა შემდგარიყო ბერლინში, აგვისტოს

შუა რიცხვებში, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ საქართველოს მთავრობა, რუსეთის ფედერაცია და მეამბოხე სეპარატისტები, აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მონაწილეობით. ორშაბათს, ცხინვალთან მომხდარი შეტაკების საბაზით, სოხუმელმა სეპარატისტებმა უარი განაცხადეს ბერლინის მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე. ორშაბათსვე, სეპარატისტებმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომაიამ 4 აგვისტოს განაცხადა, რომ სექტემბრის შუა რიცხვებისთვის საქართველოს მთავრობა წარადგენს ყოვლისმომცველ სამშვიდობო წინადადებას აფხაზეთის რეგიონისთვის, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მარტში გაცხადებული სამშვიდობო გეგმის საფუძველზე. ხსენებული გეგმა ითვალისწინებს რეგიონის დემილიტარიზაციას; ფართო ავტონომიას; რეგიონის წარმომადგენლისთვის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შეთავაზებას, რომელსაც ექნება ვეტო-ს უფლება რეგიონთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე; რეგიონის ფართო წარმომადგენლობას ცენტრალურ მთავრობაში; და ეკონომიკური რეაბილიტაციის მასშტაბურ პროგრამას.

ქართული გეგმის გარანტორი იქნება საერთაშორისო საზოგადოება.

დამატებითი ინფორმაცია

პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმა

http://www.president.gov.ge/PDF/GU_E_2008-04-16_121577174551044.pdf

ძალადობის ქრონოლოგია სამხრეთ ოსეთის რეგიონში ივლისიდან დღემდე (შინაგან საქმეთა სამინისტრო)

ცხინვალის რეგიონში მომხდარი ინციდენტები, 3 ივლისი - 3 აგვისტო

1. 2008 წლის 3 ივლისს, დაახლოებით 10 საათზე, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში, ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე, წვერიახოს მთასთან სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოვეის კორტეჟის ავტომობილი სეპარატისტების მიერ დამონტაჟებულ ნაღმზე აფეთქდა. თავდასხმის შედეგად მძიმედ დაიჭრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი თანამშრომელი, რომლებიც გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. თავად დიმიტრი სანაკოვეს სხეულის დაზიანება არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ ინციდენტის დროს ერედვი-ხეითის გზაზე ბავშვები დატვირთული სკოლის ავტობუსიც მოძრაობდა
2. 3 ივლისს, დაახლოებით 23:30 საათზე, სეპარატისტთა ბანდფორმირებებმა ავტომატური იარაღიდან და ყუმბარმტყორცნიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფლებს: ნიქოხს, ერგნეთს, ერედვს, ფრისს, ვანათს, თამარაშენს და ავნევს. 23:40 საათზე მსს-მ საპასუხო ცეცხლი გახსნა. 4 ივლისს, დილის 6 საათზე სეპარატისტები შეეცადნენ ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე განლაგებული მსს პოსტების დაკავებას. სროლების შედეგად სეპარატისტთა მხრიდან დაიღუპა ერთი და დაიჭრა 3 ადამიანი.
3. 4 ივლისს ქ. ცხინვალში სეპარატისტებმა, დაშინების მიზნით ხელყუმბარა შეაგდეს დიმიტრი სანაკოვეის დის სახლში, ხოლო მისი მშობლების სახლს ნაღმტყორცნი ესროლეს. აფეთქების შედეგად სახლები დაზიანდა.
4. 7 ივლისს 01:30 საათზე, ქარელის რაიონის სოფ. ცერონისთან სეპარატისტებმა გაიტაცეს თავდაცვის სამინისტროს 4 თანამშრომელი: პოლკოვნიკი ზვიად ბერიკაშვილი, კაპრალი ნიკოლოზ მეგრელაშვილი, სერჟანტი გივი ალიმბარაშვილი და სერჟანტი რამაზ ქულიჩაშვილი, რომლებიც მოლაპარაკების შედეგად მეორე დღეს გაათავისუფლეს.
5. 7 ივლისს, ქ. ცხინვალის სამხრეთ მისადგომებთან, 14 წლის მოზარდი ანდრეი პეტრაჩენკო ფოტოსურათს უღებდა ქართული პოლიციის პოსტს, რის გამოც იგი დაკავებულ იქნა. 8 ივლისს, საკითხვის შემდეგ, იგი გაათავისუფლეს.

6. 8 ივლისს, დაახლოებით 20:00-ზე, საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია "სუ-24" ტიპის ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა, რომლებიც დაახლოებით 40 წუთის მანძილზე ტრიალებდნენ ქ. ცხინვალის თავზე, ხოლო შემდეგ რუსეთის მიმართულებით გაფრინდნენ. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.
7. 14 ივლისს დიდი ღიახვის ხეობის სოფ. ქემერტის სიახლოვეს ტყეში ნაღმი ამოქმედდა. აფეთქების ადგილზე იმყოფებოდნენ ტყის მჭრელები, რომლებიც არ დაშავებულან.
8. 20 ივლისს სეპარატისტებმა დააკავეს სოფ. ნიქოზის მკვიდრი თეიმურაზ გოგინაშვილი. 24 ივლისს იგი გაათავისუფლეს.
9. 20 ივლისს შსს-ს თანამშრომლებმა სოფ. ერედვთან იარაღის უკანონო ტარების და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ბრალდებით დააკავეს 4 მოქალაქე: სოსლან სიუკაევი, გურამ სანაკოევი, ზაურ ხუბაევი და ალიხან ხუბაევი. გურამ სანაკოევი და ზაურ ხუბაევი 21 ივლისს, ბრალის არდამტკიცების გამო გამოუშვეს, ხოლო ალიხან ხუბაევი და სოსლან სიუკაევი 22 ივლისს გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.
10. 22 ივლისს სეპარატისტებმა პატარა ღიახვის ხეობის სოფ. დმენისში დააკავეს შსს-ს თანამშრომელი ლევან ჟუჟინაშვილი. 23 ივლისს იგი გაათავისუფლეს.
11. 25 ივლისს ცხინვალის სამხრეთ ნაწილში, რუსი სამშვიდობოების სიახლოვეს, აფეთქდა ავტომანქანა "ნივა", რომელშიც 16 წლის ვალერი ჯიოევი გარდაიცვალა.
12. 26 ივლისს ზნაურის რაიონის სოფ. ველითში სეპარატისტებმა სასტიკად სცემეს ადგილობრივი მცხოვრები მურად ჯიოევი, რომელიც საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.
13. 28 ივლისს, დაახლოებით 16 საათზე, სეპარატისტთა ბანდფორმირებებმა მონიტორინგის ჩატარების საშუალება არ მისცეს და ცეცხლი გაუხსნეს ზნაურის რაიონის სოფ. ჭორბაულში მიმავალ შერეული სამშვიდობო ძალებისა და ეუთო-ს დამკვირვებლებს.
14. 29 ივლისს, დილის 4 საათზე, ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს დიდი ღიახვის ხეობის ქართულ სოფლებს. სროლა დაახლოებით 40 წუთი გრძელდებოდა.
15. 29 ივლისს, დილის 10 საათზე, სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სოფ. ანდისში მიმავალ შერეული სამშვიდობო ძალების დამკვირვებელთა ჯგუფს.
16. 29 ივლისს, საახლოებით 22 საათზე, სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სარაზუკის სიმაღლეზე განლაგებულ სამშვიდობოთა საქართველოს ბატალიონის საგუშაგოს და სოფ. ერედვს. საპასუხო ცეცხლის შედეგად სეპარატისტთა შეიარაღებული ფორმირების ორი წევრი დაიჭრა.
17. 1 აგვისტოს, ერედვი-ხეითი შემოვლით გზაზე რადიომართვად ნაღმზე აფეთქდა შსს-ს კუთვნილი ავტომობილი, რის შედეგადაც 6 პოლიციელი დაიჭრა, მათ შორის ერთი მძიმე მსგომარეობაში იმყოფება.
18. 1 აგვისტოს საღამოს სეპარატისტებმა ავტომატური იარაღიდან, ყუმბარმტყორცნიდან და მსხვილკალიბრიანი ნაღმტყორცნიდან ცეცხლი გახსნეს სოფლების ქვემო და ზემო ნიქოზის, ავნევის, ერგნეთის, ერედვის მიმართულებით. სროლა მიმდინარეობდა შსს-სა და სამშვიდობოების საგუშაგოების მიმართულებით. ზემო და ქვემო ნიქოზში ჭურვების აფეთქების შედეგად დაიჭრა 4 ადამიანი, დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ადგილობრივ მოსახელთა ავტომობილები. სოფ. ნულში დაიჭრა 1 ადამიანი და დაზიანდა რამდენიმე სახლი. ჭურვის ჩაგდების შედეგად 1 ადამიანი დაიჭრა სოფ. ერგნეთშიც, რომელიც გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. დაზიანდა ორი სახლი. შსს-ს მიერ გახსნილი საპასუხო ცეცხლით განადგურებულია 6 მეამბოხე და დაიჭრა კიდევ 12.
19. 2, 3, და 4 აგვისტომ კონფლიქტის ზონაში მშვიდად ჩაიარა. არცერთი ინციდენტი არ დაფიქსირებულა.